ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

ანგარიში

01.07.2020 წ. - 01.08.2020 წ. პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

2020 წელი

1. შესავალი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური ფუნქციონირებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 სექტემბრის №41 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებული დებულების საფუძველზე. სამსახურის მიზანია მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე, ასევე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წინაშე არსებული რისკების დადგენა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება, შემოწმებული ობიექტების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზების შესწავლა - ანალიზი და მათი თავიდან აცილების გზების განსაზღვრა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას.

2. მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში წლიური გეგმებით, გათვალისწინებული იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 5 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, შპს „ხარაგაული 2011"-ის, მერიის 2 სტრუქტურული ერთეულისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლიატაციის მუნიციპალური პროგრამის, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის ქვეპროგრამის შიდა აუდიტორული შემოწმება. საქართველოში COVID19 ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა 2020 წლის წლიური გეგმით გათვალისწინებული შიდა აუდიტის 3 ობიექტის შიდა აუდიტორული შემოწმება, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული ობიექტების მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები სრულად გადასულები იყვნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. ვინაიდან, შიდა აუდიტორული შემოწმება ძირითადად მიმდინარეობს ობიექტების სამუშაო სივრცეებში და ადგილზე ხდება არსებული დოკუმენტაციის შესწავლა-ანალიზი, შეუძლებელი იყო აუდიტორული საქმიანობის სრულყოფილად წარმართვა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, წლიური გეგმების საფუძველზე, შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდათ შემდეგ ობიექტებს:

1. ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება";
2. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება";
3. შპს „ხარაგაული 2011";
4. ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა";
5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების სამსახური;
6. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი";

7. ანგარიშის მომზადების პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშის პროექტი გადაგზავნილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურში.

გაიცა 29 სხვადასხვა ტიპის რეკომენდაცია, რომელთა შესრულების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, სამსახურის მიერ ეტაპობრივად ჩატარდება მონიტორინგები.

ასევე, შიდა აუდიტორული შემოწმებების საფუძველზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესამოწმებლად მონიტორინგი ჩაუტარდათ შემდეგ ობიექტებს:

1. ა(ა)იპ „სათნოების სახლი“;
2. სსიპ „სოფელ ბორის საჯარო სკოლა“ (პანსიონი);
3. ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“;
4. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“;
5. ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“.

ძირითადად განხორციელებულია შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტები.

3. განხორციელებული ღონისძიებები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2019 წელს ჩატარებული ყველა შიდა აუდიტორული შემოწმება მოიცავს 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდს, ხოლო 2020 წელს ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმებები - 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდს.

- **შიდა აუდიტის ობიექტი №1: ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“**

2019 წლის 17 ივნისიდან - 15 ივლისამდე პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას“. შემოწმება მოიცავდა 2017 წლის 01 იანვრიდან - 2019 წლის 01 იანვრამდე პერიოდს.

ა. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი

ობიექტს აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა 2012 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, 2015 და 2017 წლებში ჩაუტარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსხურის მიერ.

ობიექტს ხარაგაულის მუნიციპალიტეტისაგან თხოვების წესით გადაცემული აქვს 4 ერთეული მუშა ტექნიკა: 2 ერთეული ისუზუ (სპეც-ტექნიკა), უაზ-469 და მმზ 4502, 2 ერთეული მერსედესი (სპეც-ტექნიკა), უაზ-31514. ასევე, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემული აქვს საოფისე შენობა და მიწის ნაკვეთი ავტოსადგომისა და დარაჯის შენობის მოსაწყობად.

ნაწარმოებია გასული და შემოსული კორესპონდენციების ჟურნალები და ბრძანებების წიგნი. აკინძული და შენახულია საარქივო მასალა. ჩატარებულია ინვენტარიზაცია. ნაწარმოებია შრომითი დისციპლინის დარღვევების ფაქტებზე მასალები და გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები.

შიდა აუდიტორულ ანგარიშში, რეორგანიზაციამდე პერიოდში, ცალ-ცალკე იქნება განხილული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ხარაგაულკეთილმოწყობისა“ და „ხარაგაულდასუფთავების“ საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზები.

„ხარაგაულდასუფთავების“ 2017 წლის ბრძანების წიგნებში გატარებულია ბრძანებები გიორგი გრიგალაშვილის, მამუკა ტაბატაძისა და ხათუნა ჭუმბურიძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. მათში გათავისუფლების საფუძვლად შეცდომით მითითებულია დისციპლინური პასუხისმგებლობა, მაშინ როცა, ბრძანების დასკვნით ნაწილში გათავისუფლების საფუძვლად ჩაწერილია პირადი განცხადება. ასევე, შედგენილია რამდენიმე ბრძანება მოსამსახურეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ და არაა შედგენილი დოკუმენტი მათთვის აღნიშნული ბრძანებების გაცნობის შესახებ. აღნიშნულით ირღვევა დასაქმებულთა შრომითი უფლებები.

„ხარაგაულკეთილმოწყობის“ 2017 წლის საშტატო განრიგებს არ ასვია თარიღი, რის გამოც ძნელდება ხელფასების დარიცხვის შემოწმება.

ხარვეზებია „ხარაგაულკეთილმოწყობისა“ და „ხარაგაულდასუფთავების“ რეორგანიზაციის დოკუმენტების შედგენაში, კერძოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 10.04.2018 წლის №49609 ბრძანების საფუძველზე, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ დირექტორად დაინიშნა თეიმურაზ ფურცელაძე, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.12.2009 წლის №241 ბრძანების „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-11 მუხლის მე-12 პუნქტის ნორმებთან, რომლის მიხედვითაც, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შექმნილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. გაერთიანება აღნიშნულ რეესტრში რეგისტრირებულია 30.04.2018 წელს, ხოლო შედგენილი დოკუმენტების მიხედვით კი გამოდის, რომ დირექტორი ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა არარსებულ ორგანიზაციას.

ობიექტის ბალანსზე ირიცხება 2 ერთეული დიდი სიმძლავრის სარეცხი ხელსაწყო (ე.წ. „კერხერი“), რომელთაგან ერთი დაზიანებულია. ადმინისტრაცია ვერ აკონკრეტებს როდის

დაზიანდა აპარატი. პირობითად ის დაზიანებულია 2018 წლის დასაწყისში. ხელსაწყოს მეშვეობით რეცხავდნენ სპეც-ტექნიკას. ობიექტს ამისთვის მოწყობილი აქვს ტერიტორია. წყლის დაგროვების მიზნით, შეძენილია 2 ერთეული წყლის ავზი 1 ტ. და 5 ტ. ტევადობის, რომლებშიც სულ გადახდილია 1070 ლარი. ერთი აპარატი იმყოფება მუშა მდგომარეობაში, მაგრამ განთავსებულია სახლში ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის" ყოფილ დირექტორთან, დ. ლაცაბიძესთან და მას არ აბრუნებს. აღნიშნულის გამო, ვერ ხდება მისი გამოყენება და ავტომანქანების რეცხვისათვის ორგანიზაციას უწევს დამატებითი ხარჯის გაღება. ავტომანქანების რეცხვისათვის, 2018 წლის განმავლობაში, დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ი/მ ზურაბ ლურსმანაშვილთან და გადახდილია 940 ლარი.

ობიექტის ბალანსზე რიცხული ამწე კალათის შეკეთებისთვის 2017 წელს გადახდილია 11768 ლარი. მიუხედავად ამისა, კალათი მალევე გამოვიდა მწყობრიდან და საჭირო გახდა ახლის შეძენა. ანალოგიური სიტუაცია „ხარაგაულკეთილმოწყობას" ამწე კალათთან დაკავშირებით, ჰქონდა 2016 წელსაც, რაც 2017 წლის შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიშში აისახა შემდეგი შინაარსით: „2016 წლის 24 ნოემბერს დაიდო 4040 ლარის ღირებულების ხელშეკრულება ი/მ შალვა თაბუკაშვილთან. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ამჟამად ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის" სარგებლობაში არსებული ავტომანქანის შესაკეთებლად საჭირო ნაწილების შეძენა. დირექტორის განმარტებით, ამ ავტონაწილებით ავტომანქანის შეკეთება ა(ა)იპ-ის თანამშრომლებმა განახორციელეს, ამის შემდეგ, 01 დეკემბერს კიდევ დაიდო 2000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება აღნიშნული მანქანის შესაკეთებლად (ამჯერად ამწის) ი/მ მევლუდი გახუტელაშვილთან, მაგრამ მიუხედავად გაწეული 6040 ლარის ხარჯისა ავტომანქანა მალევე გამოვიდა მწყობრიდან და 2017 წელს კვლავ გახდება საჭირო დაახლოებით იგივე რაოდენობის ხარჯის გაწევა. სასურველია, ასეთი სახის მომსახურებებზე გამოცხადდეს ტენდერი, მოხდეს დიაგნოსტირება პროფესიონალების მიერ და გაიწიოს შესაბამისი მომსახურება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მუნიციპალური სახსრების არაეფექტურად ხარჯვა." ობიექტის ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა გაცემული რეკომენდაცია და მომდევნო წელს ბევრად მეტი ხარჯის გაწევა მოუხდა შეკეთებისთვის და სპეც-ტექნიკის დაქირავებისთვის. ყოველივე ამის შემდეგ კი შეძენილი იქნა ახალი ავტომანქანა.

2016 წელს „ხარაგაულკეთილმოწყობას" შეძენილი ჰქონდა 20 ტონა ცემენტი. საანგარიშო პერიოდში, ამ ნაშთიდან გახარჯულია 13.48 ტ. დანარჩენი, 6.52 ტ. ცემენტი, სად გაიხარჯა გაურკვეველია, მისი ხარჯვის შესახებ არანაირი დოკუმენტი არაა შედგენილი. ასევე, ჩამოსხმულია 48 საყვავილე ლითონის ყალიბში. ყველა საყვავილე ერთი ზომისაა, მაგრამ ყველაზე ერთნაირი არაა ცემენტის ხარჯი, რაც ბადებს ეჭვს, თუ რამდენად სწორადაა გახარჯული და ჩამოწერილი ცემენტი. უნდა აღინიშნოს რომ, აღნიშნული ცემენტი თავის დროზე დაუსაბუთებლად იქნა შეძენილი, რითაც ზარალი მიადგა ორგანიზაციას.

შეძენილია ყვავილის ჩითილები, მაგრამ არაა შედგენილი მისი გახარჯვის შესახებ დოკუმენტაცია.

ბ. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2017 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 225105 ლარის შესყიდვა, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულ იქნა 96934 ლარის მომსახურება.

2018 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 174480 ლარის შესყიდვა, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულ იქნა 142224.70 ლარის მომსახურება.

ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ 2017 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებულია 238013 ლარის შესყიდვა, ხოლო ფაქტობრივად შესყიდული იქნა 141745 ლარის მომსახურება.

2018 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 94226 ლარის შესყიდვა, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულ იქნა 66485 ლარის მომსახურება. შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის წესით და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. შესყიდვების თანხები გაღებულია მუნიციპალური საბიუჯეტო სახსრებიდან.

2017 წლის 24 ივლისის №39 ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებდა სამშენებლო სარემონტო სამუშაოებს, შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული ხარჯთაღრიცხვა.

გ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებაში“ შემოსავალი და ხარჯები ნაწარმოებია ხაზინის მეშვეობით.

ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობას“ 2017 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერიცხა 596689 ლარი. 01.01.2018 წლიდან - 05.04.2018 წლამდე 145500 ლარი.

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას“ 2017 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერიცხა 359773 ლარი. 01.01.2018 წლიდან - 05.04.2018 წლამდე 90490 ლარი.

რეორგანიზაციის შემდეგ შექმნილ ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას“ 2018 წელს მიღებული აქვს სუბსიდია 744374 ლარი.

სააუდიტო პერიოდში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია სახეობების მიხედვით და თითოეული სახის ხარჯის პროცენტული მაჩვენებელი მთლიან ხარჯთან მიმართებაში

რეორგანიზაციამდე და რეორგანიზაციის შემდეგ ასახულია ქვემოთ მოყვანილ შესაბამის ცხრილებში (ცხრილი №1, ცხრილი №2, ცხრილი №3).

ცხრილი №1

№	ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება“ გაწეული ხარჯების შესახებ	2017		05.04.2018-მდე	
		თანხა	%	თანხა	%
1	შრომის ანაზღაურება	463431	77.40	118533	81.17
2	მივლინება	691	0.12	138	0.10
3	კომუნალური ხარჯები	14491	2.42	2922	2.00
4	ოფისის ხარჯები	18480	3.09	1727	1.18
5	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენა	2290	0.38	550	0.38
6	საწვავ-საპოხი მასალები	59620	9.96	15952	10.92
7	ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი	7180	1.20	2695	1.84
8	სათადარიგო ნაწილების შეძენა	7590	1.27	2365	1.62
9	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	3450	0.58	-	-
10	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	10656	1.78	1148	0.79
11	არაფინანსური აქტივების ზრდა	10754	1.80	-	-

ცხრილი №2

№	ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობა“ გაწეული ხარჯების შესახებ	2017		05.04.2018-მდე	
		თანხა	%	თანხა	%
1	შრომის ანაზღაურება	240520	67.17	57315	63.74
2	მივლინება	1900	0.53	386	0.43
3	კომუნალური ხარჯები	43981	12.28	22009	24.48
4	ოფისის ხარჯები	2281	0.64	816	0.91
5	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა	5995	1.67	-	-
6	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენა	1245	0.35	-	-
7	საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	11888	3.32	2098	2.33
8	სატრანსპორტო საშუალებების მიმ. რემონტი	1588	0.45	-	-
9	სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	8632	2.41	682	0.76
10	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	3150	0.88	-	-
11	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	36893	10.30	6608	7.35

ცხრილი №3

№	ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ გაწეული ხარჯების შესახებ	05.04.2018-დან 31.12.2018-მდე	
		თანხა	%
1	შრომის ანაზღაურება	551760	73.98
2	მივლინება	633	0.09
3	ოფისის ხარჯები	13729	1.84
4	კომუნალური ხარჯები	50058	6.71
5	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი	5119	0.69
6	ტრანსპორტის ხარჯი	99410	13.33
7	არაფინანსური აქტივების ზრდა	552	0.07
8	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	24573	3.29

ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი, ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით. შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ძირითადი რისკები:

შესაბამისობისა და ფინანსური რისკები.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. ყურადღება მიექცეს ობექტის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული აქტების შედგენას.
2. დასაქმებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ შედგენილი აქტი ყოველთვის გაეცნოს მას.
3. საშტატო განრიგს ყოველთვის დაესვას თარიღი და მიეთითოს მოქმედების პერიოდი.
4. სასურველია, ავტომანქანების შეკეთების მომსახურებებზე გამოცხადდეს ტენდერი, მოხდეს დიაგნოსტირება პროფესიონალების მიერ და ამის საფუძველზე იქნას გაწეული შესაბამისი მომსახურება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მუნიციპალური სახსრების არაეფექტურად ხარჯვა.
5. სამშენებლო მასალები შეძენილი იქნეს საჭიროების დასაბუთების შესაბამისად, ხარჯთაღრიცხვის შედგენით.
6. ობიექტის ტექნიკის რეცხვა მოხდეს მის ბალანსზე რიცხული დიდი სიმძლავრის სარეცხი ხელსაწყოს მეშვეობით, რათა აცილებულ იქნას დამატებითი ხარჯი.

7. დადგინდეს ერთი ერთეული საყვავილისათვის საჭირო ცემენტის რაოდენობა და ისე დამზადდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის.
8. ყვავილების ჩითილებისა და თესლის ხარჯვაზე შედგეს შესაბამისი დოკუმენტები.

➢ **შიდა აუდიტის ობიექტი №2: შპს „ხარაგაული 2011“**

2019 წლის 17 ივლისიდან - 31 აგვისტომდე პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა შპს „ხარაგაული 2011“-ს. შემოწმება მოიცავდა 2017 წლის 01 იანვრიდან - 2019 წლის 01 იანვრამდე პერიოდს.

ა. შპს „ხარაგაული-2011“-ის ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი

შპს „ხარაგაული-2011“-ის 2011-2012 წლების აუდიტორული შემოწმება ჩატარებულია სახელმწიფო აუდიტის მიერ. 2013-2016 წ.წ. პერიოდის საქმიანობა შემოწმებული იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ.

მიმდინარე შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, ობიექტს ისევ არ აქვს ადმინისტრაციული შენობა და ადმინისტრაციულ მისამართად წესდებაში მითითებულია ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება და კეთილმოწყობის“ იურიდიული მისამართი. შესამოწმებელ პერიოდში ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული. ხარაგაულის მერიის მხრიდან, საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეგლის 11.04.2016 წლის ბრძანების შესაბამისად, ამავე წლის 12 აპრილს შპს „ხარაგაული-2011“-სა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის დადებული №3 თხოვების ხელშეკრულებით, ობიექტს არსებობის ვადით, გადაეცა 9 ერთეული ტექნიკა: ტრაქტორი MF290 (საბალანსე ღირებულება - 12000 ლარი), ტრაქტორი MF290 (საბალანსე ღირებულება - 180 ლარი), ტრაქტორი GELTS436 (საბალანსე ღირებულება - 10000 ლარი), ტრაქტორი GELTS436 (საბალანსე ღირებულება - 13000 ლარი), ტრაქტორი GELTS436 (საბალანსე ღირებულება - 15000 ლარი), სამკორპუსიანი გუთანი KP143 (საბალანსე ღირებულება - 250 ლარი), სამკორპუსიანი გუთანი KP143 (საბალანსე ღირებულება - 300 ლარი), კულტივატორი KB13 (საბალანსე ღირებულება - 250 ლარი), კულტივატორი KB13 (საბალანსე ღირებულება - 300 ლარი). აღნიშნული ტექნიკიდან მუშა მდგომარეობაშია მხოლოდ 2 ტრაქტორი, რომელთაგან 1 განთავსებულია შპს „ხარაგაული-2011“-ის ოპერატორის, ლ. ტაბატაძის სახლში, ხოლო მე-2 ობიექტის საცავში. ლ. ტაბატაძესთანაა სახლში, ასევე, 2 ერთეული კულტივატორი და 1 სამკორპუსიანი გუთანი. არც ტრაქტორისა და არც სხვა ტექნიკის ლ. ტაბატაძისთვის მიბარების შესახებ არაა შესაბამისი დოკუმენტი შედგენილი, რაც წარმოშობს ლ. ტაბატაძის მიერ პირადი მიზნებისთვის გამოყენებისა და დაზიანების რისკებს, ხოლო ყოველივე ეს კი საბოლოო ჯამში ქმნის ფინანსური რისკის საფრთხეს. ტრაქტორს ნამუშევარი

აქვს 3470 საათი, მრიცხველის მიხედვით, თუმცა მისი მუშაობით მიღებული მოგება არ არის აღრიცხული და დოკუმენტურად არსადაა ხელმისაწვდომი. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ ტრაქტორი მუშაობს არამიზნობრივად. ასევე, არ ჩანს მეორე ტრაქტორის მუშაობით მიღებული შემოსავალი. აღნიშნულით ობიექტმა დაკარგა შემოსავალი და მოგება, რაც ეწინააღმდეგება წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს. სამუშაოების კონტროლისთვის, აღებული უნდა იქნას ჩვენება ტრაქტორის საათობრივი მაკონტროლებელი მექანიზმისგან, რათა დადგინდეს ტრაქტორების მუშაობის ხანგრძლივობა და შესრულებული სამუშაოების მოცულობა. მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ყველა ტექნიკა უნდა იდგას ობიექტის დაცულ საცავში. საცავში დგას მხოლოდ 3 ტრაქტორი და 1 გრეიდერი, ხოლო დანარჩენი ქონება ისევ გაფანტულია მუნიციპალიტეტის სოფლებში მეთვალყურეობის გარეშე. დაზიანებული ტექნიკის შეკეთება უნდა მოხდეს, და ეს ხელს შეუწყობს შემოსავლის მიღებას, ხოლო თუ შეკეთება შეუსაბამოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ან შეუძლებელია, უნდა მოხდეს მისი რეალიზაცია. აღნიშნული ტექნიკის მიმართ მსგავსი დამოკიდებულების გამო (რაზეც შიდა აუდიტის სამსახურის წინა წლების ანგარიშებშიცაა მითითებული) მუნიციპალიტეტი კარგავს შესაძლო შემოსავალს.

2017 წელს ობიექტს სამუშაოებისთვის თანხა გადარიცხული აქვს შპს „მექანიზატორისათვის", თუმცა, მომსახურების შესახებ ხელშეკრულება მასთან არ აქვს დადებული.

2018 წელს შპს „ხარაგაული-2011"-ს მოგებული აქვს ტენდერი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულში შიდა საავტომობილო გზების გაწმენდის შესახებ. შედგენილია ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტები, თუმცა, ზოგიერთ მათგანში არაა მითითებული შედგენის თვე და რიცხვი. გზის წმენდის სამუშაოები განხორციელდა, მაგრამ არაა დადებული შესაბამისი ხელშეკრულებები სამუშაოების განმახორციელებელ მეწარმე სუბიექტებთან.

2017 წლის 4 იანვრის №2 ბრძანებით დანიშნულია დარაჯი ტარიელ თხელიძე 2018 წლის იანვრამდე. ის ისე გათავისუფლდა სამსახურიდან, რომ არ შედგენილა გათავისუფლების შესახებ ბრძანება.

ბ. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობის და ფინანსური აუდიტი.

შესყიდვების გეგმები არაა შედგენილი და ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ასევე, არაა შედგენილი და ატვირთული ზოგიერთი ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი. კერძოდ, თანხები არის გადარიცხული ინდ. მეწარმეებისათვის: „ბესიკი დოღაძე", „ირაკლი ბოგერაძე", „ზურაბ მჭედლიძე". ასევე შპს „იმედისთვის", მაგრამ არ არის შედგენილი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. 2018 წლის 13 დეკემბერს ი/მ „მერაბი კურტანიძეს" ჩაერიცხა შპს „ხარაგაული-2011"-სგან 500

ლარი. აღნიშნული თანხა ბანკის მიერ უკან იქნა დაბრუნებული, 21 დეკემბერს აღნიშნულ სუბიექტს კვლავ გადაერიცხა 600 ლარი. თუ რა მიზნით განხორციელდა აღნიშნული ფინანსური ოპერაცია, გაურკვეველია. 2018 წლის 27 სექტემბერს ი/მ „გიზო ბუაჩიძესთან" დადებულია ხელშეკრულება მეორადი საბურავების შესყიდვის შესახებ, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის თარიღად მითითებულია 13 მარტი, ხოლო ინვოისი კი დათარიღებულია 5 ოქტომბრით.

შპს „ხარაგაული-2011"-ს გრეიდერი ისე აქვს გაქირავებული, რომ არაა აღრიცხული ნამუშევარი დღეების ოდენობა. 2018 წელს გრეიდერი გაქირავებულია 1 დღით შპს „რეკონსტრუქცია XXI"-ზე და 2 დღით შპს „არ გრუპზე", მაგრამ არაა შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტები და არც ქირის თანხაა გადმორიცხული. სასამართლო წესით ობიექტს არ მოუთხოვია ქირის გადახდა, რითაც დაკარგა შემოსავლის სახით 1200 ლარი (1 დღის ქირის საშუალო საბაზრო ღირებულებაა 400 ლარი). გრეიდერი არ მუშაობს საწვავის აღმრიცხველი მაჩვენებლით, რის გამოც შუძლებელია საწვავის ხარჯვის კონტროლი. აღსანიშნავია, რომ შეძენილი საწავ-საპოხი მასალის ხარჯვის აღრიცხვა არ ხდება.

გ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშების და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

2017 წელს თანამშრომლებზე ხელფასის სახით გაცემულია 24250 ლარი და მასზე საშემოსავლოს სახით დარიცხულია 4850 ლარი. 2018 წელს ხელფასის სახით დარიცხულია 22500 ლარი, ხოლო საშემოსავლო - 4500 ლარი. საშემოსავლოს სახით დარიცხული თანხები სრულად გადარიცხულია ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის შესაბამის ანგარიშზე. ობიექტში არსებულ ტექნიკაზე არ არის ცვეთა დარიცხული.

ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი. ფინანსური ანგარიშსწორება ხორციელდება ბანკის მეშვეობით. ანგარიში გახსნილია „ლიბერთი ბანკის" ხარაგაულის ფილიალში. ანგარიშის ნომერი: GE772LB0113149731330000.

რისკები

ობიექტის საქმიანობაში ადგილი აქვს ფინანსურ და შესაბამისობის რისკებს.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. მოწესრიგდეს ადმინისტრაციული შენობის საკითხი, ტექნიკა თავმოყრილი იქნას შესაბამისად დაცულ ტერიტორიაზე.
2. ბალანსზე არსებულ ტექნიკას უნდა დაერიცხოს ცვეთა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;

3. სასურველია ხელფასების გაცემა მოხდეს პლასტიკურ ბარათებზე დარიცხვის გზით;
4. მოხდეს საპოხ-საწვავი მასალების ხარჯვის აღრიცხვა. შესრულებული სამუშაოს მოცულობის დადგენის მიზნით აღირიცხოს განვლილი მანძილის და ნამუშევარი დროის ჩვენებები ყოველი თვის დასაწყისისათვის, გაქირავების შემთხვევაში, აღირიცხოს გაქირავების პერიოდში და ხელშეკრულების ვადის გასვლის დროისათვის მონაცემები;
5. ყველა მეწარმე სუბიექტთან დაიდოს მომსახურების შესახებ ხელშკრულება და კანონით დადგენილ ვადებში აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ასევე, შედგეს და აიტვირთოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები. ხელშეკრულებები შედგენილ უნდა იქნას კანონმდებლობის შესაბამისად.
6. ბალანსზე არსებული ტექნიკა ან უნდა შეკეთდეს ან დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტს გასხვისების მიზნით;
7. ყველა თანამშრომლის სამსახურში მიღება-გათავისუფლების შესახებ ხელმძღვანელის მიერ შედგეს შესაბამისი დოკუმენტი;
8. „გრეიდერის“ გაქირავებით შპს „აი გრუპისა“ და შპს „რეკონსტრუქცია XXI“-სგან მიუღებელი ანაზღაურების მისაღებად ობიექტმა უნდა მიმართოს სასამართლოს შესაბამისი სარჩელებით.

- **შიდა აუდიტის ობიექტი №3: ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა"**

2019 წლის 01 ოქტომბრიდან - 11 ნოემბრამდე პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას“. შემოწმება მოიცავდა 2018 წლის 01 იანვრიდან - 2019 წლის 01 იანვრამდე პერიოდს.

წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ობიექტს 2015 და 2018 წლებში ჩაუტარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ.

2018 წელს სამუსიკო სკოლაში ინვენტარიზაცია ჩატარებულია.

სამუსიკო სკოლას ხარაგაულის მუნიციპალიტეტისაგან ადმინისტრაციული შენობა გადაცემული ჰქონდა 2013 წლის 23 მაისს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, სკოლის არსებობის ვადით. ხელშეკრულება მერიის მიერ გაუქმდა 2018 წელს და დღემდე არ განახლებულა. მუსიკალურ სკოლას საქმიანობა უწევს კანონიერი საფუძვლის გარეშე მუნიციპალიტეტის კუთვნილ შენობაში. აღნიშნული ხარვეზი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს შესაბამისი ხელშეკრულების დადების გზით.

შესამოწმებელი პერიოდის საშტატო განრიგებს არ აქვს შედგენის თარიღები.

სკოლის ადმინისტრაციის მიერ არაა შედგენილი აქტები პირველ კლასში შესულ მოსწავლეთა ოდენობისა და სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლეთა მოძრაობის (შემოდინება-გადინება) შესახებ, რაც ართულებს სწავლის გადასახადის გადახდის კონტროლს. შედგენილია ბრძანებები მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ, მაგრამ არა სახელდებით.

სამუსიკო სკოლას ბალანსზე ერიცხება 12 პიანინო და 3 როიალი. 1 პიანინო თხოვების წესით გადაცემული აქვს ა(ა)იპ „ხარაგაულის კულტურის სახლს", თუმცა, თხოვების ხელშეკრულება დადებული არაა.

2015 წელს შესყიდულია 2 ერთეული გაზის გამათბობელი, საერთო ღირებულებით 820 ლარი, რომლებიც დღეისათვის ისევ გამოუყენებულია, რადგან ჯერ კიდევ არა მომხდარა სკოლის შენობის გაზიფიცირება.

შესამოწმებელ პერიოდში, არის შემთხვევები, როცა სკოლის მასწავლებლების მიერ თავიანთი სახელით შეტანილია მოსწავლეთა სწავლის საფასური. სწავლის საფასურის გადახდა არ უნდა მოხდეს ამ წესით. სწავლის საფასურის გადახდისასას, უმეტეს შემთხვევაში არაა მითითებული რომელი მოსწავლის გადასახადია გადახდილი და არ ირკვევა ინდივიდუალურად მოსწავლეთა მიერ ყოველთვიური გადახდილი თანხის ოდენობა.

ა. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა" დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2018 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 19787 ლარის შესყიდვა, ხოლო ფაქტობრივად შესყიდული იქნა 14416 ლარის ღირებულების მომსახურება. 2019 წლის შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იყო 9500 ლარის ღირებულების შესყიდვა, ხოლო 2019 წლის აგვისტოს ჩათვლით, ფაქტობრივად შესყიდულ იქნა 5332 ლარის მომსახურება. შესყიდვები ძირითადად განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის წესით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

ბ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

2018 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას" მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერიცხა 111810 ლარი სუბსიდიის სახით. საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 10238 ლარი (მ.შ. სწავლის გადასახადი შეადგენს 9998 ლარს), 2018

წლის დასაწყისში ანგარიშზე ერიცხებოდა ნაშთი 656 ლარის ოდენობით. მერის მიერ დამტკიცებული გეგმით განსაზღვრული 112000 ლარის ხარჯის ნაცვლად გაწეულია 116635 ლარის ხარჯი. გადახარჯვა შეადგენს 4825 ლარს, აქედან 250 ლარით შეძენილია საოფისე ინვენტარი, 200 ლარის გადახარჯვაა ტრანსპორტის დაქირავების ხარჯში, 1930 ლარის გადახარჯვაა კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებში (გეგმით გათვალისწინებული 3402 ლარის ნაცვლად გაწეულია 5332 ლარის ხარჯი), ინვენტარის შეძენისათვის გეგმით გათვალისწინებული 550 ლარის ნაცვლად შეძენილია 2975 ლარის ინვენტარი ანუ ამ მუხლში გადახარჯვა შეადგენს 2425 ლარს, შეძენილია 645 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონი რაც დამტკიცებული გეგმით არ იყო განსაზღვრული.

2018 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ სამუსიკო სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი 18 საშტატო ერთეულით, ხელფასის წლიური ფონდით - 102360 ლარი.

სკოლის მთლიანი ფაქტობრივი ხარჯი 2018 წელს შეადგენს 122704 ლარს. მათ შორის, შრომის ანაზღაურება 101839 ლარი (87.31%), მივლინება 288 ლარი (0.25%), საკანცელარიო და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა 152 ლარი (0.13%), კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯი 200 ლარი (0.17%), ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო ხარჯი 370 ლარი (0.32%), მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა 1113 ლარი (0.95%), საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი 370 ლარი (0.32%), ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი 60 ლარი(0.05%), შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი 667 ლარი (0.57%), კავშირგაბმულობის ხარჯი 694 ლარი (0.60%), ელექტრო-ენერგიის ხარჯი 150 ლარი (0.13%), წყლის ხარჯი 230 ლარი (0.20%), გათბობისა და სხვა საწვავისა და ნედლეულის შეძენის ხარჯი 925 ლარი (0.79%), ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული 120 ლარი (0.10%), ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი 1150 ლარი (0.99%), კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებების ხარჯი 5332 ლარი (4.57%), არაფინანსური აქტივების ზრდა 2975 ლარი (2.55%).

მუსიკალურ სკოლას 2019 წლის 8 თვეში, სუბსიდიის სახით, მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერიცხა 70605 ლარი, საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 3916 ლარი და წლის დასაწყისისთვის ანგარიშზე ერიცხებოდა ნაშთი 6069 ლარის ოდენობით. 2019 წლის 1 სექტემბრამდე ორგანიზაციის მიერ გაწეულია 75680 ლარის ხარჯი (მ.შ. 4940 ლარის ისეთი ხარჯი რომელსაც დამტკიცებული გეგმა არ ითვალისწინებდა). კერძოდ, გადახარჯვაა შემდეგ მუხლებში: თანამშრომლებზე დანამატის სახით გაცემულია 600 ლარი, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა 2699 ლარი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული ღონისძიებებისა და მაუწყებლობის ხარჯი 430 ლარი, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი 810 ლარი, შენობა- ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა 96 ლარი, საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი 35 ლარი, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯი 270 ლარი.

2019 წელს მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებულია საშტატო განრიგი 18 საშტატო ერთეულით, წლიური სახელფასო ფონდით - 106680 ლარი. მარტის თვეში დამტკიცებულ საშტატო განრიგთან მიმართებაში გადახარჯვაა 490 ლარი თანამშრომლებზე გაცემულ ხელფასებში.

გადახარჯვები დაბალანსებულია საკუთარი შემოსავლებისა და წლის დასაწყისში არსებული ნაშთის ხარჯზე.

2019 წელის 1 სექტემბრამდე სკოლის მიერ გაწეული ხარჯი შეადგენს 75680 ლარს. მათ შორის, შრომის ანაზღაურება 70348 ლარი (92.95%), მივლინების ხარჯი 226 ლარი (0.30%), საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯი 35 ლარი (0.05%), შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტისათვის გახარჯულია 96 ლარი (0.13%), კავშირგაბმულობის ხარჯი 565 ლარი (0.75%), კომუნალური ხარჯი 201 ლარი (0.26%), ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი 810 ლარი (1.07%), კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, საგამოფენო ღონისძიებებისა და მაუწყებლობის ხარჯი 430 ლარი (0.56%), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი 270 ლარი (0.36%), მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა 2699 ლარი (3.57%).

ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ ფინანსური საქმიანობის შესწავლისას გამოვლენილი გადახარჯვები გამოწვეულია ბიუჯეტის არასწორი დაგეგმვით, კერძოდ, გეგმის შედგენისას არ არის გათვალისწინებული საკუთარი შემოსავლები, რომლის განსაზღვრაც შესაძლებელი და პროგნოზირებადია.

ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლას“ შრომის ანაზღაურებაზე დარიცხული აქვს საშემოსავლო გადასახადი თვეების მიხედვით, განაცემებისა და დასაკავებელი გადასახადის შესახებ ინფორმაციით 2018 წლის განმავლობაში 20638 ლარი. 2019 წელს 8 თვეში - 14057 ლარი რაც სრულად გადარიცხულია ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი. ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით და შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ანგარიშსწორება მიმდინარეობდა უნაღდო ანგარიშსწორებით სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით.

ძირითადი რისკები:

ობიექტის შემოწმების შედეგად გამოიკვეთა ფინანსური და შესაბამისობის რისკები.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. დადებული უნდა იქნას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასთან შესაბამისი ხელშეკრულება იმ საოფისე შენობის ფართით სარგებლობაზე, რომელშიც განთავსებულია მუსიკალური სკოლა.
2. მუსიკალური სკოლის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი იქნას აქტი პირველ კლასში შესულ მოსწავლეთა ოდენობის შესახებ და მიეთითოს მათი ვინაობა. ასევე, სახელდებით იქნას შედგენილი ბრძანება მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და სასწავლებლის დამთავრების შესახებ.
3. გადახარჯვებისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების მაქსიმალურად შემცირებისათვის, ორგანიზაციის მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა დაიგეგმოს საკუთარი შემოსავლებიც და გეგმაში უნდა ჩანდეს რა ხარჯებისთვის იქნება იგი მიმართული;
4. მოსწავლეთა მიერ სწავლის საფასურის ჩარიცხვა არ მოხდეს სკოლი თანამშრომელთა მიერ. ადმინისტრაციამ მოახდინოს თითოეული მოსწავლის მიერ ყოველთვიურად გადახდილი თანხის აღრიცხვა.
5. საშტატო განრიგს დაესვას შედგენის თარიღი.

- **შიდა აუდიტის ობიექტი №4: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური**

2019 წლის 14 ნოემბრიდან - 23 დეკემბრამდე პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს. შემოწმება მოიცავდა 2018 წლის 01 იანვრიდან - 2019 წლის 01 იანვრამდე პერიოდს.

წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

სამსახურის უფროსი ყოველწლიურად ადგენს გაწეული მუშაობის შესახებ წლიურ ანგარიშს. შედგენილია 2017-2019 წლების წლიური ანგარიშები. სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას, სამსახურის დებულების მიხედვით, წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საწარმოთა წილების, აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა, ინვენტარიზაცია. 2018 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა მის მიერ დაფუძნებული სუბიექტების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაცია, რის შედეგადაც რამდენიმე იურიდიული პირი შეერწყა ერთმანეთს. სამსახურმა ვერ მოახდინა მობილიზება და ვერ უზრუნველყო ქონების ინვენტარიზაციის დასრულება და მისი შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის (ახლადშექმნილი იურიდიული პირების ხელმძღვანელებისთვის) გადაბარება.

2013 წელს მუნიციპალიეტის გამგეობას დავით გაჩეჩილაძესთან დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება უძრავ ნივთზე 10 წლის ვადით, კერძოდ, შენობაზე. იჯარის წლიური ქირაა 2197 ლარი. ქირა 2013 წელს მხოლოდ ერთხელ აქვს ჩარიცხული 619 ლარი, დანარჩენი გადაუხდელია, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ არაა განხორციელებული საჯარიმო სანქციები. 2016 წელს გამგებლის მიერ დავით გაჩეჩილაძეს გაეგზავნა შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება დარეგისტრირებული არაა საჯარო რეესტრში. აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები მოსაწესრიგებელია.

მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 2 ოთახი გადაცემული აქვს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონულ ორგანიზაციას და საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ადგილობრივ წარმომადგენელს ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე.

2013 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება დადო ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლასთან", სკოლის არსებობის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ შეწყვიტა 2018 წლის 11 ივლისს. ამის შესახებ უზუფრუქტუარს შეატყობინა მხოლოდ 08.02.2019 წელს, მან არ გამოიყენა უზუფრუქტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაფრთხილების ვალდებულება და ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი, შენობის ნაწილის აუქციონის წესით იჯარით გაცემა, არ შეესაბამება ხელშეკრულების 2.4. და 2.5 მუხლებით გათვალისწინებულ ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს. აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ხელშეკრულების გაუქმებას იმ შემთხვევაში, თუ უზუფრუქტუარი დანიშნულებისამებრ არ იყენებს ქონებას და არღვევს ხელშეკრულების პირობებს: განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს მუნიციპალური ქონების მდგომარეობას. დღეისათვის სამუსიკო სკოლასთან ჯერ კიდევ გაუფორმებელია შესაბამისი ხელშეკრულება და ითვლება, რომ სკოლა განთავსებულია შენობაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

ძირითადი რისკები

ობიექტის შემოწმების შედეგად გამოიკვეთა ფინანსური და შესაბამისობის რისკები.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. სამართლებრივად მოწესრიგდეს დავით გაჩეჩილაძესთან უძრავ ქონებაზე დადებული იჯარის ხელშეკრულების საკითხი;
2. დადებული უნდა იქნას ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლასა" და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი

ხელშეკრულება იმ საოფისე შენობის ფართთან დაკავშირებით, რომელშიც განთავსებულია სამუსიკო სკოლა.

3. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონულ ორგანიზაციას და საქართველოს სტატისტიკის სამსახურთან დაიდოს შესაბამისი ხელშეკრულებები მათი წარმომადგენლების მიერ მერიის შენობაში დაკავებულ საოფისე ფართებთან დაკავშირებით.

- **შიდა აუდიტის ობიექტი №5: ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“**

2020 წლის 08 იანვრიდან - 10 თებერვლამდე პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს“. შემოწმება მოიცავდა 2018 წლის 01 იანვრიდან - 2020 წლის 01 იანვრამდე პერიოდს.

წარმოდგენილი დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ობიექტი განთავსებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხულ შენობაში და მის მიერ დაკავებულ საოფისზე ფართზე მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებულია უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება. ობიექტს პერიოდულად უტარდება შიდა აუდიტორული შემოწმება და შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ.

ობიექტში ნაწარმოებია გასული და შემოსული კორესპონდენციების ჟურნალი და ბრძანებების წიგნი.

ორგანიზაციას შედგენილი აქვს 2018-2019 წლების ბალანსი, ხოლო ინვენტარიზაცია ჩატარებული არ აქვს. შესამოწმებელ პერიოდში შესყიდულია სასაუბრო ბარათები: 2018 წელს 1020 ლარის ღირებულების, ხოლო 2019 წელს 1000 ლარის ღირებულების. კომუნიკაციის საკითხის მოწესრიგება ნაკლები რისკით, უფრო ეფექტურად და ნაკლები დანახარჯებით შეიძლება მოგვარდეს, კერძოდ, კორპორაციული მომსახურების შესყიდვის საშუალებით.

2018 წლის 22 მარტს სს „ავტოტრანსთან“ დადებულია სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (220 ლარის ღირებულების), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მაგრამ გადაყვანილი მგზავრების ოდენობა და ვინაობა არსად არაა მითითებული.

ცენტრი გამოსცემს გაზეთს „ახალი ხარაგაული“, რომლის ტირაჟმა 2018 წელს შეადგინა 1500 ცალი, 2019 წელს - 1500 ცალი. გაზეთის ბეჭდვისთვის 2018 წელს შპს „კოლორ პრესისგან“ შესყიდულია 5680 ლარის ღირებულების მომსახურება ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. 2019 წელს იგივე მეწარმესთანაა შესყიდული ისეთივე მომსახურება ღირებულებით 4998 ლარი, გამარტივებული შესყიდვის გზით. რადგან წინა წლის გამოცდილებიდან და ახალი ფასიდან სავარაუდო იყო შესყიდვის ღირებულება ყოფილიყო

5000 ლარზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით დადგენილ სატენდერო ზღვრულ თანხაზე მეტი, მისი შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო ელექტრონული ტენდერის გზით.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის ასახვის შესაბამისობის და ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობის და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი" დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. 2018 წლის შესყიდვების გეგმა იყო ატვირთული 16110 ლარის ოდენობის. ამ წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 13230 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 11495 ლარის ღირებულების სამუშაო. შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვით.

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" 2019 წლის შესყიდვების გეგმა იყო ატვირთული 11650 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია ხელშეკრულებები 10043 ლარის ღირებულების, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 8002 ლარის ღირებულების. შესყიდვების თანხები გაღებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან. შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვებით.

შპს „კოლორ პრესთან" 2018 წლის 18 იანვარს გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მიღება-ჩაბარების აქტები არ არის ატვირთული ელექტრონულ სისტემაში.

შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, ფულადი ანგარიშებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრს" 2018 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან დაზუსტებული გეგმით ხარჯი დამტკიცებული აქვს 53200 ლარი. განწერით, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 39675 ლარი (74.58%), მივლინებამ - 1726 ლარი (3.24 %), ოფისის ხარჯმა - 2985 ლარი (5.61%), სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯმა - 6815 ლარი (12.81 %), ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა 2000 ლარი (3.76 %).

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს" 2018 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერიცხა 53200 ლარი.

2018 წელს „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურს ცენტრს" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა დაუმტკიცა საშტატო განრიგი 6 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 3200 ლარი.

ა(ა)იპ-ის 2019 წლის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 49140 ლარი. მათ შორის, შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 39240 ლარი (79.86%), მივლინებამ - 2070 ლარი (4.21%), ოფისის ხარჯმა - 3505 ლარი (7.13%), სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯმა - 4325 ლარი (8.80 %).

2019 წლის დასაწყისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებულია საშტატო განრიგი 6 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდით 3195 ლარი. 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დამტკიცებულია ახალი საშტატო განრიგი 5 საშტატო ერთეული 3160 ლარი ხელფასის თვიური ფონდით.

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს" 2019 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩაერიცხა 50000 ლარი.

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს" შრომის ანაზღაურებაზე დარიცხული აქვს საშემოსავლო გადასახადი. თვეების მიხედვით განაცემებისა და დასაკავებელი გადასახადის შესახებ ინფორმაციით 2018 წლის განმავლობაში დარიცხული აქვს 7730 ლარი, 2019 წლისათვის - 5225 ლარი, რაც სრულად გადარიცხულია ხაზინის ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე.

ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს ბუღალტერი, ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოებია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით. შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ძირითადი რისკები:

ცენტრის შემოწმებისას, გამოვლენილია ფინანსური და შესაბამისობის რისკები.

არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები და დოკუმენტაცია იმგვარად უნდა იქნას შედგენილი, რომ ნათლად ირკვეოდეს ხელშეკრულების საგანი და მისაღები კონკრეტული მომსახურება.
2. სატელეფონო კომუნიკაციის საკითხი მოწესრიგდეს ცენტრის მიერ კორპორაციული მომსახურების შესყიდვის გზით.
3. გაზეთ „ახალი ხარაგაულის" გამოცემის შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის გზით.

4. ცენტრის მიერ ჩატარებული უნდა იქნას ინვენტარიზაცია, კანონის მოთხოვნათა დაცვით.
5. ყოველ გამოცემულ გაზეთის ტირაჟზე, უნდა მოხდეს ანგარიშსწორება ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.

მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ განხორციელდა, სამსახურის მიერ მომზადებული 4 შიდა აუდიტორული დასკვნის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

1. **ა(ა)იპ „სათნოების სახლი"**

2019 წლის 15-17 ივლისს ა(ა)იპ „სათნოების სახლში" ჩატარდა 2019 წლის 2 თებერვლიდან - 15 მარტამდე პერიოდში ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული 3 რეკომენდაციიდან, ობიექტის მიერ სამივე რეკომენდაცია შესრულებულია.

2. სსიპ „სოფელ ბორის საჯარო სკოლა" (პანსიონი)

2019 წლის 20-22 აგვისტოს სსიპ „ბორის საჯარო სკოლაში" (პანსიონი) განხორციელდა 2019 წლის 19 მარტიდან 19 აპრილამდე პერიოდში ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული 2 რეკომენდაციიდან, ობიექტის მიერ ორივე რეკომენდაცია შესრულებულია.

3. ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება"

2019 წლის 16-18 სექტემბერს ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში" ჩატარდა 2019 წლის 24 აპრილიდან - 14 ივნისამდე პერიოდში ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ შიდა

აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული 9 რეკომენდაციიდან, ობიექტის მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

4. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“

2019 წლის 02-03 დეკემბერს ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებაში“ ჩატარდა 2019 წლის 17 ივნისიდან - 15 ივლისამდე პერიოდში ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც დადგენილია შემდეგი:

1. კანონის დაცვითაა შედგენილი ორგანიზაციის სამართლებრივი აქტები.

2. კანონის დაცვითაა შედგენილი საშტატო განრიგი.

3. ავტომანქანის შეკეთების მომსახურებაზე გამოცხადებულია ტენდერი.

4. სამშენებლო მასალების შესყიდვა განხორციელებულია ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

5. ობიექტის ტექნიკის რეცხვა არ ხორციელდება მის ბალანსზე რიცხული სარეცხი ხელსაწყოს მეშვეობით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ მიერ თავის საქმიანობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის გაწეული მუშაობის შეფასების საფუძველზე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ 17.06.2019 - 15.07.2019 წ.წ. პერიოდში ჩატარებული შიდა აუდიტორულ ანგარიშში მითითებული 5 რეკომენდაციიდან ობიექტის მიერ 4 რეკომენდაციაა გათვალისწინებული.

5. ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“

2020 წლის 04-05 მარტს ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში“ ჩატარდა 2019 წლის 16 ოქტომბრიდან - 11 ნოემბრამდე პერიოდში ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც დადგენილია შემდეგი:

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაცემული 5 რეკომენდაციიდან შესრულებულია 3 რეკომენდაცია:

1. მუსიკალური სკოლის ხელმძღვანელის მიერ შედგენილია შესაბამისი აქტი პირველ კლასში შესულ მოსწავლეთა შესახებ, მათი ვინაობის მითითებით, ასევე, სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შესახებ.

2. აღმოფხვრილია სკოლის პერსონალის მიერ მოსწავლეთა სწავლის საფასურის შეტანის ფაქტები.

3. 2020 წლის საშტატო განრიგს აქვს შედგენის თარიღი.

შეუსრულებელია 2 რეკომენდაცია: არაა დადებული საოფისე ფართის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულება ხარაგაულის მუნიციპალიტეტთან და ისევ არაა 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას დაგეგმილი საკუთარი შემოსავლების ხარჯვის მიმართულება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ „ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის“ მიერ თავის საქმიანობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისათვის გაწეული მუშაობის შეფასების საფუძველზე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ 16.10.2019 - 11.11.2019 წ.წ. პერიოდში ჩატარებული შიდა აუდიტორულ ანგარიშში მითითებული რეკომენდაციები ობიექტის მიერ სრულად არაა გათვალისწინებული.

დასკვნითი ნაწილი

სამსახურის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგად ძირითადად გამოვლენილია ხარვეზები შესყიდვების პროცედურებთან, მატერიალური მარაგების კანონთან შესაბამის, როგორც აღრიცხვა-კონტროლთან, ასევე ხარჯვასთან და საშტატო განრიგებთან დაკავშირებით. გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებულია შიდა აუდიტის ობიექტების მიერ, მაგრამ გარკვეული ხარვეზები კვლავ რჩება და შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური აქტიურად მუშაობს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების მონიტორინგზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის

სამსახურის უფროსი გიორგი ჭყოიძე